ოქმი:**ო63.6321188001**
თარიღი:**07/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. სამტრედია. 05 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 05 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ავთანდილ სტურუა, კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ლაშა ორმოცაძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანაშემწე, ლაშა ნიკოლეიშვილი.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, გიორგი მელქაძე.

4. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტელე-კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვება ზაზა ადეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

2. ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

8. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მაისის თვის შემოსავალმა შეადგინა 5880,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 66,6 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 3672,2 ათასი ლარი, რაც მაისის თვის გეგმის 86,8 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 3537,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90,7 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 50,5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 28,1%-ით.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან მიღებულია 701,6 ათასი ლარი, გეგმა 700,2 ათასი ლარი, შესრულება (100,2 %) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 62,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 142,4 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 58,2 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -260,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი -107,6 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები - 71,4 ათასი ლარი.

შემოსავალი არაფინანსური აქტივიდან ფაქტიურად შემოვიდა - 87,2 ათასი ლარი.

ხოლო, რაც შეეხება 2021 წლის მაისის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2020 წლის ანალოგიურ პერიოდის ფაქტთან (4101,2 ათასი ლარი), შემოსულია 1779,7 ათასი ლარით მეტი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ***2021 წლის 29 ივნისის*** N 62-622118042, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობით მომართვა, რომელიც ეხება, ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, სოფელ ხუნჯულაურში მგზავრთა ახალი მოსაცდელის მშენებლობის ნაცვლად მოხდება არსებული რკინის კონსტრუქციის მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, ასევე სოფელ ნაბაკევში დაგეგმილი

სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების ნაცვლად ამ სამუშაოებზე გათვალისწინებული თანხა გადანაწილდება გარე განათების სისტემის მოწყობაზე და სკვერში ატრაქციონების მოწყობის სამუშაოებზე.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **1.1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში.

1.2. ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულების დანართი №1 (სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	ადმინისტრაციული ერთეული / სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა	თანადაფინანსება	პროექტის ღირებულება	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება მთლიანი თანხის - 2,5%)
1	2	3	4	5	6	7
1	სოფელი ბაში	გარე განათების მოწყობა	20 000		14625	375
		სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია			4875	125
2	სოფელი იანეთი	სოფელში გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
3	სოფელი დიდი ჯიხაიში	გარე განათების მოწყობა	20 000	20 000	39000	1000
4	ეწრის ადმ. ერთეული/სოფელი გვიმრალა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
5	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ახალსოფელი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	16 000		

6	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ჯიქთუბანი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000	144300	3700
7	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი კეჭინარი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
8	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ოჭოფა	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	10 000		
9	ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი პატარა ეწერი	ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	12 000	12 000		
10	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მელაური	სანიაღვრე არხის გაჭრა	12 000		3900	100
		სანიაღვრე არხისთვის 2 ცალი მილ-ბოგირის (1000მმ*6მ) შეძენა			2000	0
		გარე განათების ბოძების შეცვლა			1462,5	37,5
		ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების რეაბილიტაცია			4387,5	112,5
11	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მიწაბოგირა	სკვერის შემოსაღობად აგურის შეძენა	16 000		16000	0
12	მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი ხიბლარი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000		15600	400
13	დაბა კულაში	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	20 000		4875	125
		სპორტული მოედნის რეაბილიტაცია			14235	365
		სპორტული მოედნისთვის ბალახის საკრეჭი აპარატის შეძენა			400	0
14	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ჩხენიში	სოფელში სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი	16 000	16 000	25000	0
		სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა			5850	150
		სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია			975	25
15	ნაბაკევის ადმ. ერთეული/ სოფელი ნაბაკევი	გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა	16 000		9750	250
		სკვერში ატრაქციონის შეძენა-მონტაჟი			6000	0
16	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ხუნჯულაური	არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია	12 000		4875	125
		გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა			6825	175
17	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ნინუაკუთხე	სკვერის კეთილმოწყობა	16 000		15600	400
18	ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი კვირიკე	სკვერის კეთილმოწყობა	12 000		11700	300
		წმ. გიორგის ეკლესიის				

19	ღანირის ადმ. ერთეული/სოფელი ღანირი	მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა	20 000	16575	425
		სკვერის რეაბილიტაცია		2925	75
20	ღანირის ადმ. ერთეული/სოფელი ჭაგანი	გარე განათების მოწყობა	16 000	15600	400
21	გომის ადმ. ერთეული/სოფელი დაბლა გომი	გარე განათების მოწყობა	16 000	13650	350
		ე.წ. გაღმა ჩხაიძეების უბანში გზის მოხრეშვა		1950	50
22	გომის ადმ. ერთეული/სოფელი კეთილაური	გარე განათების მოწყობა	10 000	7117,5	182,5
		გზის მოხრეშვა-მოსწორება		2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)		200	0
23	გომის ადმ. ერთეული/სოფელი ცივწყალა	გზის მოხრეშვა	10 000	8775	225
		გომმუხაყრუას საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა		1000	0
24	გომის ადმ. ერთეული/სოფელი გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა ე.წ. ნადირაძეების უბანში	12 000	6045	155
		სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ყენიების უბანში		4095	105
		ელექტრო წყლის ტუმბოს შეძენა		800	0
		ბეტონის 1000*500*500მმ ღარის შეძენა		800	0
25	გომის ადმ. ერთეული/სოფელი დაბლა ეწერი	გარე განათების მოწყობა	10 000	9457,5	242,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)		300	0
26	გომის ადმ. ერთეული/სოფელი ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა	12 000	8970	230
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)		2437,5	62,5
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)		300	0
27	გომის ადმ. ერთეული/სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	12 000	9847.5	252.5
		5 ტონიანი პლასტმასის ავზის შეძენა		1700	0
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)		200	0
28	გომის ადმ. ერთეული/სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	16 000	15600	400
29	გომის ადმ. ერთეული/სოფელი დაფნარი	გარე განათების მოწყობა	16 000	7800	200
		ფოლადის ემალირებული 16 ტონიანი ავზის შეძენა		6000	0
		ე.წ. ჯაშების დასახლებაში გზის მოხრეშვა		1950	50
30	გომის ადმ. ერთეული/სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	12 000	11700	300

31	გომის ადმ. ერთეული/სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	10 000		7507,5	192,5
		გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება)			1950	50
		დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)			300	0
32	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი პირველი ნიგორზღვა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
33	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი მეორე ნიგორზღვა	გარე განათების მოწყობა	10 000	10 000	19500	500
34	საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი ჭოგნარი	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
35	საჯავახოს ადმ. ერთეული/სოფელი საჯავახო	გარე განათების მოწყობა	16 000	16 000	31200	800
36	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
37	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
38	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	12 000		11700	300
39	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქორეისუბანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	10 000		9750	250
40	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ვაზისუბანი	გარე განათების მოწყობა	16 000		15600	400
41	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
42	ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23400	600
43	სოფელი გორმაღალი	სპორტული მოედნის მოწყობა	16 000	16 000	31200	800
44	სოფელი გამოჩინებული	გარე განათების მოწყობა	10 000		9750	250
45	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი თხილაგანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000		58500	1500
46	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი წიაღუბანი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			

47	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი მტერჩვეული	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
48	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი ნაწილი ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
49	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი პატარა ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
50	ოფეთის ადმ. ერთეული/სოფელი დიდი ოფეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000			
			660 000	220 000	859 525 (799 525 სამუშაოები)	20 475

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, ავთანდილ თადუმაძემ.

გამომსვლელებმა გმოხატეს მოწონება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამაჯანსაღებელი ტრენაჟორების დამონტაჟებასთან დაკავშირებით და ასევე გამოთქვეს გულისტკივილი, რომ აღნიშნული ტრენაჟორები შესაძლებელი იყო რკინიგზის დასახლებაში დამონტაჟებულიყო. შესაბამისად კარგი იქნებოდა ქალაქის მასშტაბით სწორად და თანაბრად მომხდარიყო მათი განაწილება და მონტაჟი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

„საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა

შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის'', მუხლი 98-ის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%–ს, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 000–ზე ნაკლებია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, წარმოდგენილი დადგენილებაში ცვლილება ჩვენ მიღებული გვქონდა წინა საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ ,,ა'' პუნქტიდან უნდა ამოვიღოთ წინადადება ,,ამ რეგულირების გათვალისწინებით ჩაიწერება კონკრეტული პროცენტი.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/ დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად **2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას; წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე; უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფის წინადადებების მომზადებას; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით" გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; „სოციალური მუშაობის შესახებ", საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური სამუშაოს ჩატარებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/ დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, მერაბ უღრელიძესთან,** 2021 წლის 12 ივლისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან,** სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, დავით ამაღლობელს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარესთან, ილია მჟავიასთან, 2021 წლის 6 ივლისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, ფრაქცია ,,ქართული ოცნება -სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, ბაია იმესაშვილს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 01 ივლისის N***62-622118273 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.
საკითხი ერთობლივად განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადატო საკითხთა კომისიამ და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1

ამ დადგენილებით დამტკიცებული წესი არეგულირებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესს.''

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5

წინამდებარე წესით განსაზღვრულ ღონისძიებებში სპორტსმენების კვებისათვის გამოყოფილი თანხის ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტერიაში (ან შესაბამის, ფინანსურ ოპერაციებზე და აღრიცხვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურაში) წარადგინოს ღონისძიებაზე მივლინების ბრძანება და

დამოწმებული სამივლინებო მოწმობა, არაუგვიანეს ღონისძიების დასრულებიდან 5 კალენდარული დღისა.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/ დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი